საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1183 2020 წლის 9 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისგან გათავისუფლების შესახებ

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-16 მუხლის შესაბამისად, ფორსმაჟორული სიტუაციით გამოწვეული გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გათავისუფლდეს „საერთაშორისო მნიშვნელობის ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის (სომხეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ-97-ზე და კმ-98-ზე მდინარე მოშევანზე არსებული სახიდე გადასასვლელების ნაცვლად ახალი სახიდე გადასასვლელების მშენებლობის სამუშაოების“ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**